



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება
აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: ნათია მუნჯიშვილი

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ეკატერინე კობახიძე

კვების დარგში ექსპერტი: დალი მედოიძე

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: მარიამ გელხვიძე

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

სამართლებრივი ფორმა

არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი

საფირმო სახელწოდება	ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება	
საიდენტიფიკაციო ნომერი	436254688	
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი	
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)		
სექტორი	საჯარო	
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება	
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ		
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	საქართველო, მცხეთის მუნიციპალიტეტი, ქ.მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა N73	
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი აღდგომლიანთკარი	
დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 5 26 0000349466 24/03/2026	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	30.03.2026-31.03.2026.	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	

6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მამიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული „ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი“-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მამიებელს.

N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	ადრეული აღზრდისა და განათლების პროგრამა				ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☐
2	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.	ქართული		30 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ არ ეთანხმება ☐
3	სასკოლო მზაობის პროგრამა				ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐ არ ეთანხმება ☐

¹ ა ი ს ა ხ ო ს მ ხ ო ლ დ ი ს პ რ ო გ რ ა მ ა /პ რ ო გ რ ა მ ე ბ ი, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მამიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის /რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

დაწესებულებაში ვიზიტი წარიმართა პოზიტიურ, თანამშრომლობით და კონსტრუქციულ გარემოში, როგორც დაწესებულების თანამშრომელთა, ასევე ექსპერტთა მხრიდან. აქვე აღვნიშნავ ვიზიტის პროცესში მცხეთის მერიის წარმომადგენლის პოზიტიურ ჩართულობას.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დაწესებულებას მშობელთა ცნობიერების ამაღლებებაზე ზრუნვა ევალება ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ავტორიზაციის სტანდარტით, აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულების მიერ ამ მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს ვერ ჩავთვლით საუკეთესო პრაქტიკად, თუმცა დაწესებულების პერსონალმა გარდა შეხვედრების დაგეგმვისა და საინფორმაციო ბროშურების შექმნისა, მშობლებისთვის სოფლის გამომცემლობაში დაბეჭდა წიგნები: “რთული ბავშვი პასუხები დედას მამას ბებიასაც” ავტორთა ჯგუფი: დავით მამისთვალაშვილი, ლიზა გოლდშმიტი, სტივ სტეპლტონი, ანდრეი კურპატოვი, ანა ღვინიაიძე, ქეთრინ მელოუნი, ზანდა ჩეჩელაშვილი, იულია ჰიპენტრეიპერი, თიკა წერეთელი, რანჯისინქ დისეილი, ლ. სოფერ პეტმანი, ელისაბედ ლუკასი. ; “ბედნიერი ბავშვი პასუხები დედას მამას ბებიასაც” ავტორი: იულია ჰიპენტრეიპერი; “ საბავშვო ბაღში წასვლა მიხარია “ გზამკვლევი მშობლებისთვის ავტორი: გურამ მეგრელიშვილი. დაწესებულების დირექტორს აქვს გადაცემა(პოდკასტი) სადაც იწვევს სხვადასხვა სტუმრებს, საუბრობენ ბავშვის კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და აღნიშნული გადაცემებს აზიარებს მშობლებთან სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში.

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² პროგრამის სახე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა. კურიკულუმის დასახელება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

- 1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია, რომელიც შემდეგნაირად ჟღერს: „ ჩვენი მისიაა, ოჯახებთან თანამშრომლობით, შევქმნათ ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო, სადაც თითოეულ ბავშვს აქვს უფლება და შესაძლებლობა განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად, ემოციურად და სოციალურად. ჩვენ ვქმით ისეთ გარემოს, სადაც როგორც ბავშვი, ასევე თითოეული თანამშრომელი დაფასებული და მხარდაჭერილია.“ აღნიშნული მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას, მათ შორის ბავშვის განათლების, გონებრივი და ფიკური განვითარების ხელშეწყობა, უსაფრთხო და დაცულ გარემოში, რაც ჩანს შემდეგ ნაწილში: „ოჯახებთან თანამშრომლობით, შევქმნათ ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო, სადაც თითოეულ ბავშვს აქვს უფლება და შესაძლებლობა განვითარდეს ფიზიკურად, გონებრივად, ემოციურად და სოციალურად.“ და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე, პოტენციალის გამოვლენისა და წარმატების ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სივრცეს, რაც ჩანს შემდეგ ნაწილში: “ჩვენ ვქმით ისეთ გარემოს, სადაც როგორც ბავშვი, ასევე თითოეული თანამშრომელი დაფასებული და მხარდაჭერილია.“ წარმოდგენილი მისია არის შინაარსობრივად გასაგები და მამოტივირებელი, იგი ითვალისწინებს დაწესებულების როლს ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი ხედვა და ღირებულებები:

ხედვა:

„10 წლის შემდეგ ჩვენი ბავშვი იქნება ადგილი, რომელსაც აღიარებენ როგორც სამაგალითო სივრცეს ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოებისთვის, პატივისცემისა და თანასწორობისთვის. ამ ინკლუზიურ გარემოში ბავშვები და პერსონალი თავს ბედნიერად და უსაფრთხოდ იგრძნობს.“

ღირებულებები:

„• უსაფრთხოება: ბავშვისა და პერსონალის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

- თანამშრომლობა: გუნდური მუშაობა პერსონალს, ბავშვებსა და ოჯახებს შორის.
- პროფესიონალიზმი: მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და მაღალი სტანდარტებისკენ.

• პატივისცემა: თითოეული ბავშვისა და ზრდასრულის ინდივიდუალობის დაფასება.“

დაწესებულების ხედვა მამოტივირებელი და ამბიციურია, მოცემულია დროის გარკვეული პერიოდი და ორგანიზაციის წარმატება გაზომვადია. ხედვისა და ღირებულებების შინაარსი პირდაპირ კავშირშია და გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. როგორც მისიაში, ასევე ხედვასა და ღირებულებებში აქცენტირებულია ურთიერთთანამშრომლობაზე, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნა, როგორც ბავშვისთვის ასევე თანამშრომლებისა და მშობლებისთვის. რაც ემსახურება, როგორც ბავშვის, ასევე დაწესებულების წინსვლასა და განვითარებას, რაც თავისმხრივ ბავშვის კეთილდღეობის სამსახურშია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/224 თარიღი: 24.06.2025წელი აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული წესის მუხლი 2. განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპებს: „1. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების/გაზიარების პროცესი; 4. მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანის პროცესი; მუხლი 4. პროცესში ჩართული მხარეები: „ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული მხარეები: ა) გაერთიანების წარმომადგენლები; ბ) ბაღების წარმომადგენლები; გ) მშობლები/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო; დ) თემის წარმომადგენელი; ე) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამავე წესის მუხლი 8. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების და გაზიარების პროცესი: „ 1. დაწესებულების მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხდება ამ წესის მუხლი 7. -ის შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. 2. მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება შემდეგი ეტაპების დაცვით: ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება ბ) პროექტების გაზიარება ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებისთვის;...”

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025წ. რომლითაც დამტკიცებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის შექმნა. აღნიშნულ ჯგუფის წევრებს დაევალათ სხვადასხვა საკითხების განხილვა და მომზადება, მათ შორის მისიის, ხედვისა და ღირებულებების. „ 3. დაევალოს სამუშაო ჯგუფს: 3.1. მისიის, ხედვის, ღირებულებების პროექტის მომზადება, გაზიარება, გაერთიანების დირექტორისთვის წარდგენა.“ ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი მტკიცებულებები: 1. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ოქმი N1 თარიღი:

25.06.2025წ., რომლითაც დასტურდება ზემოაღნიშნული სამუშაო ჯგუფის შეკრება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისა და განხილვის მიზნით. 2. ა(ა)იპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრის ოქმი N2 თარიღი: 11. 07. 2025წ. აღნიშნულ შეხვედრაზე კენჭისყრით მიღებულ იქნა მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/224 თარიღი: 24.06.2025წელი აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული წესის მუხლი 6. განსაზღვრავს შემდეგს: „დოკუმენტების გაზიარება 1. გაერთიანების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარება უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის ჩართვას. 2. პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) სოციალური პლატფორმის დახურული ჯგუფები და ჩატები; ბ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები).“ ამავე წესის მე-8 მუხლის მე- 2 პუნქტი: „ ა) სამუშაო ჯგუფის მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტის შემუშავება ბ) პროექტების გაზიარება ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებისთვის; ვ) გაერთიანების მიერ მისიის, ხედვისა და ღირებულებების მოწონობის შემთხვევაში განცხადების გამოქვეყნება მეექვსე მუხლით განსაზღვრული გაზიარების მექანიზმით.“ დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი სადაც აღნიშნულია, რომ : „ 3. სტრატეგიული გეგმა (მათ შორის მასში შემავალი სამოქმედო გეგმა) გაზიარდეს ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორთან. 4. დავალოს ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორს სტრატეგიული გეგმის გაცნობა საგანმანათლებლო და ტექნიკურ პერსონალთან.“ აღნიშნულ გეგმებს თან ახლავს მისია, ხედვა და ღირებულებები. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ოქმი N3 თარიღი: 18.07.2025წ. „18 ივლისს ჩატარდა მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტების საჯარო განხილვა. განხილვას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელი, გაერთიანების წარმომადგენლები, ორგანიზაციის წარმომადგენლები, ყველა საბავშვო ბაღის მენეჯერი“. აღნიშნული მისი, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი დაწესებულების სოციალური ქსელის გვერდზე და საინფორმაციო დაფებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების მისის, ხედვისა და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი
2. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/224 თარიღი: 24.06.2025წელი
3. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დანართი 1
4. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025წ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის შექმნა
5. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ოქმი N1 თარიღი: 25.06.2025წ
6. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ონლაინ შეხვედრის ოქმი N2 თარიღი: 11. 07. 2025წ.
7. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ოქმი N3 თარიღი: 18.07.2025წ.
8. სოციალური ქსელში არსებული გვერდი.
9. დაწესებულების ფიზიკური გარემოს დათვალიერება.

შეფასება:

1.1. დაწესებულების მისია

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/224 თარიღი: 24.06.2025 წელი აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დანართი 1-ის შესაბამისად. აღნიშნული წესი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს პროცესში დაინტერესებული მხარის ჩართულობას. კერძოდ, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმების მონიტორინგისა და შეფასების განსაზღვრის მექანიზმი, მუხლი 13. განსაზღვრავს: „სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას, სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, რაც დაწესებულებას შედეგების გამოყენების საშუალებას აძლევს, შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას.“ დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ, ხოლო შეფასებას წლიურად. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე. ასევე აღნიშნული წესში განსაზღვრულია : „ მუხლი 4. პროცესში ჩრთული მხარეები სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული არიან შემდეგი დაინტერესებული მხარეები: ა) გაერთიანების წარმომადგენლები; ბ) ბაღების წარმომადგენლები; გ) მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი/საკონსულტაციო საბჭო; დ) თემის წარმომადგენელი; ე) პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლები;“ აღნიშნული პუნქტი პირდაპირ კავშირშია ამავე წესის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტთან: „სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესის საკვანძო პრინციპები დაინტერესებული მხარეების პრიორიტეტების და ინტერესების გათვალისწინება, სადაც აღნიშნულია, რომ გაერთიანება სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში განსაზღვრავს დაინტერესებულ მხარეებს ამ წესის მე-4 მუხლის შესაბამისად და უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მათ ჩართულობას ან/და სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას. დაწესებულებამ აღნიშნული პროცესების განხორციელების მტკიცებულებად წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტი: „ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/225 თარიღი: 24.06.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ. ბრძანებას ახლავს ჯგუფის წევრთა ჩამონათვალი. აღნიშნული ასევე დასტურდება შემუშავების პროცესის ამსახველი ფოტო მასალითა და დაწესებულების პერსონალთან ინტერვიუს შედეგებით. ასევე აღნიშნული ჯგუფის შეკრების ამსახველი ოქმი N3 (18.07 2025) და ოქმი N4 (27.07.2025). ოქმი N3 ადასტურებს სტრატეგიული დაგეგმვის სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული დოკუმენტების საჯარო განხილვას, მათ შორის სტრატეგიულ გეგმისა და სამოქმედო გეგმის. ოქმი N4 ასახავს იგივე სამუშაო ჯგუფის შეხვედრას და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის წარდგენას გაერთიანების დირექტორისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. სტრატეგიული გეგმა გახლავთ ციკლური და 5 წლიანი 2025-2030 წლების. იგი შემუშავდა დაწესებულების მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად შემდეგი საკითხების გათვალისწინებით: თვითშეფასება; სტატისტიკური მონაცემების ანალიზი (ბაღში ჩარიცხვა-ამორიცხვა, სსმ ბავშვების სტატისტიკა, ბენეფიციარების სტატისტიკა); საკანონმდებლო ცვლილებები; პოლიტიკის დოკუმენტების, განათლების შესახებ მომზადებული ანგარიშები. სამუშაო ჯგუფმა გამოიყენა SWOT მეთოდოლოგია; კერძოდ: დაწესებულებაზე მოქმედი შიდა და გარე ფაქტორების განსაზღვრა, ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება. აღნიშნული ანალიზის შედეგები საფუძვლად დაედო სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შემუშავებას მისიის, ხედვისა და ღირებულებების გათვალისწინებით. დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მისიასთან თავსებადი ხუთი სტრატეგიული მიზანი და აღნიშნულ მიზნების შესაბამისი ამოცანები, თითო მიზანზე სამი ამოცანა. შემუშავებული სტრატეგიული გეგმა, ერთის მხრივ, გამომდინარეობს მისია, ხედვა, ღირებულებებიდან, ხოლო მეორეს მხრივ ეყრდნობა SWOT ანალიზის შედეგებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების წესის მუხლი 11. პუნქტი 1. განსაზღვრავს : „ სტრატეგიული გეგმიდან და გაერთიანების ყოველწლიური თვითშეფასებიდან გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის ფარგლებში განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების თანმიმდევრულ და ეფექტიან განხორციელებას. სამოქმედო გეგმა დგება ერთწლიანი პერიოდისთვის და ის ემთხვევა სასწავლო წელს. სამოქმედო გეგმის მიზანია ხელი შეუწყოს სტრატეგიულ გეგმაში დეკლარირებული მიზნების განხორციელებას. დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულ სამოქმედო გეგმას თან ახლავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული სტრატეგიული მიზნები და ამოცანები და ასევე დაწესებულების თვითშეფასების პროცესში შეგროვებული მონაცემთა SWOT ანალიზის შედეგები. დაწესებულების სამოქმედო გეგმა აკმაყოფილებს ზემოთ აღნიშნულ ყველა მოთხოვნას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვისა და შეფასების წესის მუხლი 11. პუნქტი 3 განსაზღვრავს სავალდებულო ველებს, რომელსაც უნდა მოიცავდეს სამოქმედო გეგმა: ა) სტრატეგიული მიზანი; ბ) ამოცანა; გ) აქტივობა (საჭიროების შემთხვევაში- ქვეაქტივობაც); დ) შესრულების ინდიკატორი; ე) განხორციელების ვადა თვეების ჭრილში; ვ) პასუხისმგებელი პირი სტრუქტურული ერთეული; ზ) შესაბამისი რესურსი (დაფინანსების წყარო, მატერიალური რესურსი და ადამიანური რესურსი). დაწესებულებამ წარმოდგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამის აქტივობებს, შესრულების გაზომვად ინდიკატორებს, რეალისტურ ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურულ ერთეულებს და შესაბამის რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი. აღნიშნული წესი მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დაგეგმვის მეთოდოლოგიას, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. მუხლი 13. განსაზღვრავს: „სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, შუალედურ პერიოდში (2,5 წელს) და ბოლოს. საბოლოო შეფასება ტარდება სტრატეგიის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს შესაძლებელი გახდეს შედეგების გამოყენება შემდგომი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. დაწესებულება ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ, ხოლო შეფასებას წლიურად. აღნიშნულ პროცესს კოორდინაციას უწევს სამუშაო ჯგუფის თავჯდომარე.“ ასევე ამავე წესის მუხლი 14. სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის მონიტორინგის მექანიზმი განსაზღვრავს შემდეგს: „სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული პირისპირ ან ონლაინ შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სხდომის თავჯდომარე დეტალურად გადის სტრატეგიულ/სამოქმედო გეგმას და შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ანიჭებს სტატუსს: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. შეხვედრის ოქმს ადგენს სამუშაო ჯგუფის მდივანი. ასევე ის უზრუნველყოფს წერილობითი ანგარიშებისა და მტკიცებულებების შგროვებას. მუხლი 15. განსაზღვრავს სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასებას. პუნქტი 1. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში გაკეთებული ანგარიშების გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. პუნქტი 2. აკადემიური წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის და 2,5 წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები ფორმდება ანგარიშის სახით. „აქვე განხილულია აღნიშნულ შედეგებზე დაყრდნობით და ამავე წესის მუხლი 12. -ის მოთხოვნების გათვალისწინებით სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებში ცვლილებების შეტანის წესი.“ აღნიშნული წესის დამტკიცების შემდეგ ჯერ არ დამდგარა სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების პერიოდი. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სამოქმედო გეგმის 2025-26 მონიტორინგის ანგარიში, რომელიც შესრულებულია ზემო აღნიშნული წესის ყველა პუნქტის დაცვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოადგენილ სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესის მუხლი 6. პუნქტი 1. განსაზღვრავს შემდეგს: გაერთიანების მიერ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების დაინტერესებული მხარეებისთვის გაზიარება უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში სხვადასხვა მხარის ჩართვას. პუნქტი 2. პროცესში შემუშავებული დოკუმენტების გაზიარებისთვის გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: ა) სოციალური პლატფორმების დახურული ჯგუფები და ჩატები; ბ) საჯარო ღონისძიებები (შეხვედრები). მუხლი 15. სამოქმედო/სტრატეგიული გეგმების შეფასება პუნქტი 4. ანგარიშები საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე გამოყოფილ ადგილზე ანგარიშების გაზიარებისთვის ასევე გამოიყენება ამ წესის მე-6 მუხლით განსზღვრული საკომუნიკაციო არხები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....
.....
რჩევა

.....
.....
არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/224 თარიღი: 24.06.2025წელი აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სტრატეგიული დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების წესი დანართი 1-ის შესაბამისად.
2. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/225 თარიღი: 24.06.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის დამტკიცების შესახებ.
3. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ოქმი N3 (18.07.2025)
4. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმმართველი სამუშაო ჯგუფის ოქმი N4 (27.07.2025)
5. ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
6. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები
7. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სამოქმედო გეგმა 2025-2026

შეფასება:			
1.2. სტრატეგიული განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2. კურიკულუმი ³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა.

კურიკულუმის დასახელება

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“, მეთოდური სახელმძღვანელო 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

³მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველგან ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალკე.

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის დამტკიცების ბრძანება, კერძოდ, ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის ბრძანება N2/31 კურიკულუმის დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილი აქვთ ა(ა)მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება N2/33 „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“. დაწესებულება პროგრამის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 7 აგვისტო ბრძანება N2/326 „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომლის მიხედვით კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის, ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა, კურიკულუმების შერჩევის და დამტკიცების ეტაპებს. დაწესებულებამ წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის პროცესის ამსახველი დოკუმენტები: ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 აგვისტოს ბრძანება N2/330 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ასევე წარმოადგინა კურიკულუმის შერჩევის მიზნით სამუშაო შეხვედრის ოქმი N1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასახავს, რომ კურიკულუმი, რითაც დაწესებულება ხელმძღვანელობს, წინასწარ არის შერჩეული. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შერჩეული აქვს ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. ეს კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილ შედეგების მიღწევას განვითარების ხუთ სფეროს (ფიზიკური და სენსორული, სოციალურ-ემოციური, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი

განვითარება , დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის გავითარება) და სამ მიმართულებაში (ჯანსაღი ცხოვრების წესი და მეცნიერების ელემენტები, წიგნიერება, ხელოვნება.) ,ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაშს“ აქვს ორი მთავარი მიზანი, ჯგუფის ერთობა და კვლევა აღმოჩენა.ჯგუფის ერთობა ქმნის თანამშრომლობითი სწავლების კულტურას,ავითარებს სოციალური პასუხისმგებლობის და ემპათიის უნარებს. კვლევა აღმოჩენა კი ხელს უწყობს პრობლემის გადაჭრის, მიზეზშედეგობრივი კავშირების გააზრებისა და მაღალი აზროვნებითი პროცესების განვითარებას.

აღნიშნული კურიკულუმი უზრუნველყოფს ბავშვის არჩევანის თავისუფლებას,ინიციატივის წახალისებას და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას , რაც აძლიერებს თვით რეგულაციისა და თვითდაჯერებულობის უნარებს.სკოლისათვის მზაობას განიხილავს, როგორც უწყვეტ პროცესს, რომელიც იწყება ადრეული ასაკიდან.ჰოლისტური განვითარების შედეგი ხელს უწყობს ბავშვს თავდაჯერებულობის გაზრდას, სწავლისადმი დადებითი დამოკიდებულების და სკოლის გარემოში წარმატებულ ინტეგრაციას. კურიკულუმის მეთოდოლოგია, მიდგომები სრულად ეფუძნება პროგრამის ხარისხის სტანდარტს, რაც ბავშვის განმავითარებელ, უსაფრთხო პოზიტიურ და ხარისხიან საგანმანათლებლო გარემოს შექმნას გულისხმობს და ითვალისწინებს ისეთ მიმართულებებსაც როგორიცაა ოჯახი და თემის მონაწილეობა, კულტურული მრავალფეროვნება, ინკლუზია, მართვა და შეფასება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმით ადრეული განათლების კურიკულუმი თამაშში 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისათვის“. ეფუძნება თამაშზე დაფუძნებულ, ბავშვზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პარადიგმას, რომელიც აღიარებს თამაშს, როგორც ადრეული განათლების ფუნდამენტურ მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. აღნიშნულ კურიკულუმში არ განიხილება მხოლოდ აქტივობად ან დროის ორგანიზების ფორმად,არამედ წარმოდგენილია, როგორც სწავლის, განვითარების, სოციალიზაციის და თვითგამოხატვის ინტეგრირებული და დინამიკური პროცესი. ითვალისწინებს ბავშვს,როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი განვითარების და სწავლის პროცესში, რაც გულისხმობს მეთოდური სახელმძღვანელოს მიდგომები უზრუნველყოფს ბავშვის თამაშითა და ექსპლორაციით სწავლებას, რაც საშუალებას აძლევს მას დამოუკიდებლად აღმოაჩინოს, შეისწავლოს და განივითაროს ცოდნა და უნარები. ინიციატივის გამოხატვის და არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას, ბავშვის სოციალურ ინტერაქციაში ჩართულობას, შემოქმედებითი აზროვნების, კითხვებისა და ჰიპოთეზების წამოჭრის წახალისებას, სწავლის პროცესში თვითგამოხატვის მრავალ ფორმას და განვითარებაზე ორიენტირებულ გარემოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე დაშერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროცესს განიხილავს, როგორც თანამშრომლობაზე დაფუძნებულ, უწყვეტ ორმხრივ პასუხისმგებლობას, სადაც დაწესებულება ოჯახი და თემი ქმნიან ერთიან საგანმანათლებლო პროცესს, რაც ვლინდება:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვაში ოჯახის ჩართულობის გათვალისწინებით,
- ✓ თემის წარმომადგენლების პროექტებში და თამაშების სცენარში ჩართულობით,
- ✓ მშობლებთან რეგულარული შეხვედრებით სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით,
- ✓ კვირის თემატურ გეგმებში ოჯახური და თემის გამოცდილების ინტეგრაციით,
- ✓ მშობლებისთვის განკუთვნილი რეკომენდაციებითა და თანამშრომლობის ფორმების დეტალური აღწერით,

✓ ხელშემწყობი ღონისძიებები მშობლის განათლებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის ხელშეწყობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ მოიცავს მრავალფეროვან საქმიანობებს, რაც ვლინდება ბავშვის მიერ აზრის გამოთქმის, საუბრის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, ვიზუალური და საშემსრულებლო ხელოვნების თამაშებით, დაკვირვების, დათვალიერების, კვლევის, ექსპერიმენტირების, გამოგონების, შექმნის, მრავალფეროვანი მასალების გამოყენების შესაძლებლობაში. ითვალისწინებს ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს, რაც ვლინდება ასაკობრივად შესაფერისი ეფექტური გამოცდილებებით კონკრეტული ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებისთვის. ითვალისწინებს თითოეული ბავშვის გაცნობას, მათზე თანმიმდევრულ დაკვირვებას ბავშვების ინდივიდუალური თავისებურებების გამოსავლენად, რის საფუძველზეც ხდება პროცესის ინდივიდუალიზაცია და საგანმანათლებლო პრაქტიკის შესაბამისი დაგეგმვა, რათა საგანმანათლებლო პროცესი ასაკთან ერთად ბავშვების ინდივიდუალური განვითარების დონის შესაბამისი იყოს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“2-დან-6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის. დაწესებულებას შემუშავებული აქვს 2025 წლის 7 აგვისტოს ა(ა) იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/326 ბრძანებით შექმნილი „კურიკულუმის შერჩევის/შექმნის, გაზიარების, შეფასების და განვითარების მარეგულირებელი წესი“, სადაც კურიკულუმის გაზიარების დაინტერესებული მხარეებია მშობლები და დაწესებულების პერსონალი, თემი/მუნიციპალიტეტი. დაწესებულებას წარმოადგინა დაინტერესებული მხარეების გაზიარების ოქმი N3 და ფოტო მასალა. შემუშავებული „საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესის საფუძველზე დამტკიცებული 2026 წლის 13 თებერვალის ა(ა) იპ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/49. საკომუნიკაციო გეგმაში ჩანაწერი სექტემბრის თვეში მშობლებისთვის შერჩეული კურიკულუმის გაცნობის შესახებ. დაწესებულების საინფორმაციო დაფებზე, განთავსებულია კურიკულუმის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ვიზუალურად წარმოდგენილია პოსტერების სახით და ხელმისაწვდომია მშობლებისა და სხვა დაინტერესებული პირებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2026 წლის 23 იანვრის ა(ა) იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/31 კურიკულუმის დამტკიცების შესახებ.
2. 2026 წლის 26 იანვრის ა(ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/33

„კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“.

3. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

4. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 8 აგვისტოს ბრძანება N2/330 კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

5. კურიკულუმის შერჩევის მიზნით სამუშაო შეხვედრის ოქმი N1.

6. კურიკულუმის დაინტერესებული მხარეების გაზიარების ოქმი N3 და ფოტო მასალა.

7. 2026 წლის 13 თებერვლის ა(ა)იპ მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/49. საკომუნიკაციო გეგმის შესახებ.

8. კურიკულუმის გაზიარების მასალები.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი, თამაში“ 2-დან 6 წლამდე და ასაკობრივი ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობა და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მოკლევადიანი გეგმა, რომელიც ყოველკვირეულად დგება, რეკომენდებულია რმელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად, კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ. დაწესებულება შემუშავებული აქვს ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება N2/33 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი. მე-3 მუხლის თანახმად, შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/33 ბრძანებით. დამტკიცებული გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა

შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი „ადრეული განათლების კურიკულუმი, თამაში“ 2-დან 6 წლამდე და ასაკობრივი ჯგუფებისთვის საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობას და პერიოდულობას განსაზღვრავს შემდეგნაირად: მოკლევადიანი გეგმა , რომელიც ყოველკვირეულად დგება, რეკომენდებულია რძელვადიანი გეგმა შეადგინოს წლიურად, კვარტლურად ან წელიწადში ორჯერ. დაწესებულება შემუშავებული აქვს ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება N2/33 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი. მე-3 მუხლის თანახმად, შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმის ფორმები დამტკიცებულია ა(ა) იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/33 ბრძანებით. დამტკიცებული გეგმების პერიოდულობა და ხანგრძლივობა შეესაბამება დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ა.(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია;

- ✓ დღის განრიგი;
- ✓ აღმზრდელი პორტფოლიო;
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.

ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიო, რომელიც მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები,

- ✓ ბავშვის შეფასების ჩანაწერები;
- ✓ ბავშვის ნამუშევრები.

საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები. დღის განრიგით, რომელიც ჯგუფში მიმდინარე პროცესებს აღწერს თანმიმდევრულად, საგანმანათლებლო პროცესს უფრო ორგანიზებულს და პროგნოზირებადს ხდის და ისე არის აწყობილი, რომ იძლევა ცვლილებების საშუალებას. დღის განრიგი ბავშვებს ეხმარება, რომ მათ დაცულად იგრძნონ თავი და საგანმანათლებლო პერსონალს უწყობს ხელს უკეთესად დაგეგმონ დღე, სწორად გაანაწილონ დრო, მოემზადონ შესაბამისი აქტივობისა თუ გამოწვევისთვის; აღმზრდელის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს. 2026 წლის 26 იანვარი ა.(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების დამტკიცების ბრძანება N30260309. მოკლევადიან კვირის გეგმის ფორმაში არსებული კვირის ანალიზის გრაფაში მიმდინარე კვირის დასრულების შემდეგ აღმზრდელის მიერ გაკეთებული ჩანაწერებით/გაანალიზებით, რითიც შესაბამისად გამოიკვეთება ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები; სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოთი, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შემუშავებული ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის” მიხედვით დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში იქმნება შემდეგი დოკუმენტაცია:

- ✓ დღის განრიგი;
- ✓ აღზრდელის პორტფოლიო;
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიო;
- ✓ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოები.

ამავე წესის საფუძველზე საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში აღნიშნული დოკუმენტაციით ვლინდება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებები:

- ✓ აღზრდელის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს დღის განრიგს, გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმებს და რეფლექსურ ჩანაწერებს.
- ✓ სხვა საგანმანათლებლო პერსონალის პორტფოლიოს საშუალებით, რომელიც მოიცავს ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს.
- ✓ ბავშვების ინდივიდუალური პორტფოლიოების საშუალებით, რომლებიც დაწესებულებაში იწარმოება ყველა ბავშვისთვის ინდივიდუალური მატერიალური ფორმით და მოიცავს:
- ✓ ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერებს,
- ✓ ბავშვის შეფასების ჩანაწერებს;
- ✓ ბავშვის ნამუშევრებს.

2026 წლის 30 იანვრის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით N2/33 დამტკიცებული გრძელვადიან და მოკლევადიან გეგმების მოკლევადიან კვირის გეგმებში არსებული ინდივიდუალიზაციის გაწერით, კერძოდ ინდივიდუალიზაციის გრაფაში მოცემული ბავშვის სწავლისა და განვითარების ინდივიდუალური მიზნების მიღწევის საშუალებებით. ამავე წესს თან ერთვის დანართი #1 - ბავშვის შეფასების ფორმა, სადაც გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სრული ციკლი.

დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს აღნიშნულ ჩანაწერს და სრულად ფლობს ინფორმაციას, რომ საგანმანათლებლო პროცესში შექმნილი დოკუმენტაცია უნდა ასახავდეს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში/თამაშის ელემენტები რაც ვლინდება დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული ადრეული განათლების კურიკულუმი 2-დან 6 წლამდე და შერეული ასაკობრივი ჯგუფებისთვის (სახელმძღვანელოდან თავი მე-4). ვიზუალური დათვალიერების შედეგად საგანმანათლებლო პროცესის წარმართვის ძირითადი ხერხი არის თამაში, რაც ვლინდება: ჯგუფის სივრცეებად მოწყობაში. აღმზრდელს აქვს საშუალება ჩართოს სხვადასხვა ტიპის თამაში. მცირე ტრანზიციის პერიოდში იყენებენ ზარს, ბარათებს მუსიკას. დიდი ტრანზიციის ხელსეწყობის მიზნით ასაკობრივ ჯგუფებში წარმოდგენილია ბალი და სახლი, სადაც ბავშვს აქვს შესაძლებლობა საკუთარი ფოტო გადადოს სახლიდან ბაღში და პირიქით. დაგეგმილი აქვთ დიდი ტრანზიციის ხელშეწყობით აქტივობები საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი ბავშვის ტრანზიციის პროცესში მხარეებთან კომუნიკაცია: სკოლაში ვიზიტი, მასწავლებლის მოწვევა. დაწესებულების წარმოდგენილ მოკლევადიან გეგმის ფორმაში გამოყოფილია ტრანზიციების და რუტინებისთვის გრაფა. ასევე დაბეჭდილი აქვთ ბუკლეტები მშობლებისთვის სახელწოდებით „პატარა ნაბიჯები დიდი ცხოვრების დასაწყისში.“ დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 20 აპრილის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/333 ტრანზიციის პროცესის წესის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმის მიხედვით, დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება. კერძოდ დრამატული და წარმოსახვითი თამაშები, შემოქმედებითი თამაშები, კვლევითი თამაშები, სენსორული თამაშები, სამაგიდო თამაშები, მოძრავი თამაშები, მანიპულაციური თამაშები, კონსტრუქციული თამაშები; თამაშები, რომელიც ბავშვის მიერ არის ინიცირებული, თამაშები, რომელიც უფროსის მიერ არის ინიცირებული; ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე დადგინდა, რომ დღის განმავლობაში თითოეულ ბავშვს შენობის შიგნით და გარეთ სხვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალება. დაწესებულებაში ჯგუფები და ეზო მოწყობილია სივრცეებად, რაც იძლევა სახვადასხვა ტიპის თამაშებში ჩართვის საშუალებას, როგორც ჯგუფურად, ისე ინდივიდუალურად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია, ქვიშის ზონას დაემატოს წყლის ელემენტი, რაც მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ბავშვთა სენსორულ გამოცდილებას. ქვიშისა და წყლის კომბინაცია ხელს უწყობს კვლევით, შემოქმედებით და მანიპულაციურ თამაშებს.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი ა(ა) იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით N2/33 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასების და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს საგანმანათლებლო პროცესისათვის საჭირო მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების საჭიროების შესახებ ინფორმაციის მიღება და აღნიშნული რესურსების შეძენა ხორციელდება შემდეგი სქემის მიხედვით:

- ✓ მინიმალური რესურსის განსაზღვრა ბალების მიხედვით;
- ✓ შესაძენი საგანმანათლებლო რესურსის ერთიანი ბაზის ფორმირება ბალების მიხედვით;
- ✓ შესყიდვის განხორციელება;
- ✓ შეძენილი რესურსის მიღება და აღრიცხვა;
- ✓ შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ბალების მიხედვით;
- ✓ შეძენილი საგანმანათლებლო რესურსის განაწილება ჯგუფებში; ხარჯვის აქტი საგანმანათლებლო რესურსის ინვენტარიზაცია(დაწესებულების მიერ დადგენილი პერიოდით)
- ✓ დაწესებულებას აღნიშნულ წესში ასევე განსაზღვრული აქვს რესურსების მოძიების შემდეგი ალტერნატიული გზები: მოგროვება, დამზადება.(მუხლი 6.)

ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 23 იანვრის N2/31 ბრძანებით დამტკიცებულია მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული და დამტკიცებული აქვს ადრეული განათლების კურიკულუმი – „თამაში“ კურიკულუმის შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა. 2026 წლის 23 იანვრის ა(ა) იპ.მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა ბრძანება N2/31 ნუსხა მოიცავს რესურსის/მასალის დასახელებას, ასაკობრივ კატეგორიას, განვითარების სფეროსა და შესაბამის სტანდარტს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო რესურსის კურიკულუმთან შინაარსობრივ შესაბამისობას. რესურსი განსაზღვრულია მრავალგვაროვნებისა და მრავალფეროვნების პრინციპით, ბავშვის განვითარების სფეროების სრულფასოვანი მხარდაჭერის მიზნით. წარმოდგენილი მიღება–ჩაბარების აქტებითა და სასაქონლო ზედნადებებით დასტურდება, რომ ნუსხით გათვალისწინებული რესურსები აღრიცხულია და ხელმისაწვდომია დაწესებულებაში. დაწესებულების შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, საგანმანათლებლო რესურსის განსაზღვრა ხდება მოქმედი კურიკულუმის სპეციფიკის გათვალისწინებით და უზრუნველყოფილია მისი შესაბამისობა ბავშვთა ადგილების ზღვრულ ოდენობასთან. ამასთან, საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესის შესაბამისად, დაწესებულება დამატებით იყენებს რესურსების მოძიების ალტერნატიულ პრაქტიკას (ბუნებრივი და მეორადი მასალის გამოყენება პერსონალისა და მშობლების ჩართულობით), რაც უზრუნველყოფს რესურსების უწყვეტ ხელმისაწვდომობას. აღნიშნულის საფუძველზე დასტურდება, რომ დაწესებულებას განსაზღვრული, დოკუმენტურად დამტკიცებული და პრაქტიკაში უზრუნველყოფილი აქვს კურიკულუმთან შესაბამისი მინიმალური საგანმანათლებლო რესურსი. დაწესებულების ბიუჯეტის წლიურ გეგმაში საგანმანათლებლო რესურსებისთვის განსაზღვრულია შესაბამისი კოდები, რაც უზრუნველყოფს რესურსების მიზნობრივად დაგეგმვას, აღრიცხვასა და გამჭვირვალე მართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმში ადრეული განათლების კურიკულუმში, თამაში“2-დან 6 წლამდე განსაზღვრავს ფიზიკური გარემოს მოწყობის სპეციფიკას შემდეგნაირად: ორგანიზებული, სხვადასხვა სათამაშო სივრცეებად დაყოფილი, მყუდროდ მოწყობილი ოთახი, უმეტესად ხის ფაქტურის ავეჯითა და ნეიტრალური ფერის კედლებით და მყუდრო ეზო, რომელიც ასევე სხვადასხვა სივრცეებად არის დაყოფილი და ბავშვებს მრავალფეროვანი და სხვადასხვაგვარი თამაშების შესაძლებლობებს უქმნის. ძლიერი უამინდობის შემთხვევაში ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ბაღის შენობაში დახარჯონ ენერგია: დარბაზში უნდა იყოს შესაძლებელი სხვადასხვა ტიპის აქტივობის ჩატარება, იქნება ეს მუსიკა, დრამა, ცეკვა თუ იატაკზე ხატვა.

ჯგუფების ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა ოთახის დაყოფა შემდეგ ცენტრებად: წრეზე შეხვედრის, დრამატული, კონსტრუქციული, ხელოვნების, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, სენსორული, წიგნიერების, წყნარი სივრცე. თაროები ღია და ბავშვისთვის ხელმისაწვდომი. თაროებიც აღნიშნულია მინიშნებებით, რომ ბავშვს გაუადვილდეს, როგორც ნივთების მოძებნა ასევე მათი დახარისხება. გარემო გამდიდრებულია ბუნებრივი და სხვადასხვა ფაქტურის მასალებით.

ჯგუფში არ არის მასწავლებლის მაგიდა, ჯგუფის გარემო მოქნილია. დაწესებულების გარე სივრცე დაყოფილია სხვადასხვა ფუნქციურ სივრცეებად: დრამატული, მოძრავი, სენსორული (საქვიშე), მუსიკალური სივრცე(პატარა ფორტეპიანო, სხვადასხვა ხელნაკეთი ინსტრუმენტები), ბალანსის აღჭურვილობა, საჩრდილობელი, მაგიდა, სკამები. არ არის ასაძრომი, გასაძრომი და განმარტოების სივრცე, მცენარეების ბაღის/ბოსტანი. ეზოს/გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის სრულად შესაბამისი არ არის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

გარე სივრცეში დაემატოს ასაძრომი, გასაძრომი, განმარტოების სივრცე, მცენარეების ბაღი/ბოსტანი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დაწესებულებამ წარმოადგინა დადგენილი შეუსაბამობის აღმოფხვრის მიზნით შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, კერძოდ, შესაბამისობის უზრუნველყოფის დაგეგმილი აქტივობა, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას. უზრუნველყოფილი იქნება, გარე სივრცის მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისად. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი 2026 წლის ივნისი; აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი 2028 წლის ივნისი; შესაბამისობის ტიპი: ნაწილობრივი; შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადა 24 თვე. პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზების სპეციფიკას შემდეგნაირად: დაწესებულების ჯგუფური ოთახის და გარე სივრცე უნივერსალური დიზაინისა და ინკლუზიური მიდგომების პრინციპებს უნდა ითვალისწინებდეს. სივრცე დაყოფილი უნდა იყოს ფუნქციურ ცენტრებად, სადაც ბავშვებს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის შესაძლებლობა ექნებათ. აღნიშნული ცენტრებში რესურსი ფუნქციისა და შინაარსის მიხედვით უნდა იყოს განაწილებული. რესურსი უნდა იყოს როგორც ქარხნული, ასევე ბუნებრივი და მეორეული მასალებით დამზადებული.

დაწესებულების შიდა და გარე სივრცეებში საგანმანათლებლო რესურსები ორგანიზებულია კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად. რესურსები მრავალფეროვანია, ხილვადი და მარტივად ხელმისაწვდომი ყველა ბავშვისთვის. გარემო აღჭურვილია ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს დამოუკიდებელ არჩევანს, აქტიურ ჩართულობასა და მრავალმხრივ განვითარებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების ჯგუფური ოთახების სივრცე მოწყობილია ისე, რომ ითვალისწინებს ბავშვის ჰოლისტური განვითარებისთვის აუცილებელი პირობას მრავალფეროვან თამაშებში ჩართვის საშუალება. ამ პირობის შესრულებას ხელს უწყობს ჯგუფური ოთახის ფიზიკური გარემო და დროითი გარემო. აღნიშნული დაწესებულების ჯგუფურ ოთახებში მყუდრო გარემოა, ბავშვებს აქვთ განმარტოებისა და დასვენების შესაძლებლობა (წყნარი სივრცე, წიგნიერების ცენტრი), ასევე ბავშვს აქვს აქტიურ (კუბურების, დრამატული, სენსორული, მეცნიერების ცენტრი) და პასიურ (სამაგიდო, წიგნიერების ცენტრი) მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის საშუალება. ასევე აქვთ დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული და მუსიკალური (ასევე ხელნაკეთი) ინტერუმენტებით. რაც დადასტურდა, ფიზიკური დათვალიერებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შერჩეული კურიკულუმი განსაზღვრავს დაკვირვებისა და შეფასების კონკრეტულ მეთოდებს, საგანმანათლებლო პროცესზე დაკვირვება, შესაბამისი მონაცემების შეგროვება და მისი ანალიზი/შეფასება ხარისხის ციკლის - დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება, გადახედვა/გაუმჯობესება

- მნიშვნელოვანი ნაწილია. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის ბავშვის/მთლიანი ჯგუფის ინტერესებზე, საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებას, რაც ავტომატურად ხელს უწყობს, როგორც კურიკულუმით განსაზღვრული მიზნებისა და ღირებულებების, ასევე სახელმწიფო სტანდარტებით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.

შეფასებისა და დაკვირვების ფორმები მტკიცდება გაერთიანების დირექტორის ბრძანებით, რაც დასტურდება „ა(ა)პ მცხეთის ადრეული სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვარი N2/33 ბრძანებით „ბავშვების შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ“. მაგ. „ბავშვის შემაჯამებელი შეფასების ფორმა(დანართი#5) ბავშვის აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტის მიხედვით“, რომლის კომპონენტებია: ბავშვის სახელი, გვარი; ბავშვის ასაკი; შევსების პერიოდი, ბავშვის ხუთივე სფეროს მიხედვით ჩამოყალიბებული ინდიკატორების ჩამონათვალი. ბავშვზე დაკვირვება პერმანენტული უწყვეტი პროცესია, ხოლო ბავშვზე დაკვირვების და შეფასების თანმიმდევრულობისთვის დაწესებულება მოქმედებს ამავე მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით დადგენილი სისტემით, რაც მდგომარეობს შემდეგში: დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას ყველა სფეროში; გ)ოჯახის

ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში .

ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახის ჩართულობით. საგანმანათლებლო პერსონალთან გასაუბრების დროს დადასტურდა ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის ფლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 1 იანვრის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

- ✓ ბავშვის ინტერესების გამოვლენას;
- ✓ ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;
- ✓ ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში.

ამავე წესის მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად ბავშვის დაკვირვებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი, მე-7 პუნქტის თანახმად ბავშვის შეფასებას ახორციელებს აღმზრდელი და მასში ჩართული ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი დაოჯახი. ხოლო მე-8 მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად ბავშვის შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ. შეფასება ემსახურება:

- ✓ თითოეული ბავშვის ინტერესის გამოვლენას – საგანმანათლებლო პერსონალის მხრიდან უკეთესად გაცნობა ბავშვების ინტერესის სფეროების და საყვარელ საქმიანობების, რაც ისეთი გამოცდილებების დაგეგმვის საშუალებას იძლევა, რომელშიც ბავშვები მეტი ხალისით ჩაერთვებიან;
- ✓ თითოეული ბავშვის საჭიროების გამოვლენას, ბავშვების საჭიროებების ცოდნას, რაც პრაქტიკოსებს ეხმარება საგანმანათლებლო პროცესის იმგვარად დაგეგმვასა და წარმართვაში, რომ მოხდეს ამ საჭიროებების დაკმაყოფილება.
- ✓ თითოეული ბავშვის პროგრესის გამოვლენას-პროგრესის შესახებ ინფორმაციის ფლობას, რაც ყველაზე კარგ წარმოდგენას აძლევს საგანმანათლებლო პერსონალს იმის შესახებ თუ რამდენად ეფექტურია მომსახურება და რამდენად ხდება კურიკულუმისა თუ სხვა დასახული მიზნების მიღწევა. ბავშვის პროგრესის დასანახად მნიშვნელოვანია არსებობდეს მტკიცებულებები, რომელიც ბავშვის განვითარების შედეგების დროში შედარების საშუალებას იძლევა.

დაწესებულებაში ვიზიტისას ინტერვიუს საშუალებით დადასტურდა, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო პერსონალი იცნობს ადრეული და



სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტს და აცნობიერებს, რომ შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებებისა და პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში. ამავე წესს თან ერთვის დანართი #1 - ბავშვის შეფასების ფორმა, სადაც გაწერილია ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სრული ციკლი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდიფიცირებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასების გამოყენება, შეფასების შედეგების გაანალიზება, გამოყენება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის/მოდიფიცირებისთვის, ვლინდება „ა(ა)პ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი არზრდის დაწესებულებათა გაერთიანების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 1 იანვრის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-8 მუხლის, მე-10 პუნქტის შესაბამისად ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზი და გამოვლენილ საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ✓ მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ✓ გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ✓ საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ✓ დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ბავშვებზე დაკვირვების და შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროცესის გაანალიზება და საჭიროებისამებრ მისი მოდიფიცირება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ბავშვის შეფასების პროცესში ჩართულია ოჯახი, რაც დასტურდება „ა(ა)პ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 1 იანვრის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-9 მუხლის შესაბამისად ბავშვის პროგრესის შეფასების შედეგების განხილვა ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ:

- ✓ გაერთიანებაში შემავალი ბავშვები უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;

✓ ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა ბავშვის მშობელთან /კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.ამავე წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად პორფოლიოდან შერჩეული ნამუშევრები წლის განმავლობაში პერმანენტურად უზიარდებათ მშობლებს.

ასევე,ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბრძანებით N2/49 საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილია მშობლის ინფორმირება ბავშვის შეფასების შედეგებზე ინდივიდუალურად. ინტერვიუზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას , სწორად აქვს გააზრებული ოჯახის ჩართულობის მნიშვნელობა ბავშვის შეფასების პროცესში. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2-დან 6 წლამდე და ასაკობრივი ჯგუფებისთვის
2. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის ბრძანება N2/33 საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმის, შეფასებისა და რესურსების უზრუნველყოფის წესი.
2. ა(ა) იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 იანვრის N2/33 ბრძანება მოკლევადიან და გრძელვადიანი გეგმის ფორმები.
- 4.2026 წლის 23 იანვრის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისდაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/31,, მინიმალური საგანმანათლებლო რესურსის ნუსხა”.
5. 2026 წლის 26 იანვრის ა(ა)იპ მცხეთის ადრეული სკოლამდელი დაწესებულებების გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 26 ბრძანება N2/33 „ბავშვების შეფასებისა და დაკვირვების ფორმების დამტკიცების შესახებ“
- 6.2026 წლის 13თებევრვლის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბრძანებაN2/49 „საკომუნიკაციო გეგმის” შესახებ.
7. 2026 წლის 20 აპრილის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/333 ტრანზიციის პროცესის წესის შესახებ.



8.ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირის მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 1 იანვრის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-ს მე-11 მუხლის შესაბამისად გაერთიანებაში შემავალ ბაგა-ბაღებში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება საქმიანობის სისტემური ანალიზის საფუძველზე, რაც თავის მხრივ ეფუძნება:

ა) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის და განხორციელების ძლიერ მხარეებს;
ბ) გამოწვევებს და იმ ასპექტებს, რომლებიც საჭირობენ გაუმჯობესებას; გ) რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროცესის შემდგომი განვითარებისათვის. დაწესებულება აფასებს საგანმანათლებლო პროცესის შემდეგ კომპონენტებს:

- ✓ პროცესის დაგეგმვა-დოკუმტაციის წარმოება(მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების, ბავშვის დაკვირვება-შეფასება,პორტფოლიო)



- ✓ საგანმანათლებლო პროცესის განხორციელება-აღმზრდელის მიერ გამოყენებული სტრატეგიები, ბავშვებთან ურთიერთობა, ბავშვის ჩართულობა.
- ✓ საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება კითხვარების გამოყენებით, საგანმანათლებლო პერსონალის დოკუმენტაციის შესწავლის და მათგან მიღებული უკუკავშირის გზით;

ამავე წესის მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად საგანმანათლებლო პროცესის შეფასება ხორციელდება კითხვარების გამოყენებით, საგანმანათლებლო პერსონალის დოკუმენტაციის შესწავლის და მათთან მიღებული უკუკავშირის გზით და მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად მიმდინარე შეფასების საფუძველზე შეგროვებული ინფორმაცია პერიოდულად (წელიწადში ერთხელ) ანალიზდება შეფასების გუნდის მიერ. ასევე, მათ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროცესის შეფასების სქემა (ჩეკლისტი), რომელიც 2026 წლის 11 მარტის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით N2/11 არის დამტკიცებული. მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- ✓ საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
- ✓ ფიზიკური გარემო შეფასებას;
- ✓ მშობლების უკუკავშირს;
- ✓ პერსონალის თვითრეფლექსიას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

2026 წლის 26 იანვარის ბრძანება №2/33 არეგულირებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის საკითხებს. მუხლი 11 ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების პროცესს, რომლის ფარგლებშიც გამოვლენილი მიგნებები და გამოწვევები აისახება შეფასების გუნდის მიერ მომზადებულ ანგარიშში. აღნიშნული ანგარიშის საფუძველზე შესაძლებელია კურიკულუმში როგორც ფორმალური, ისე შინაარსობრივი ცვლილებების განხორციელება. კურიკულუმის შეფასების შედეგების გაანალიზებისა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების უზრუნველსაყოფად, დაწესებულებამ წარმოადგინა მარეგულირებელი დოკუმენტაცია. კერძოდ, ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 2025 წლის 7 აგვისტოს დირექტორის ბრძანება №2/326 განსაზღვრავს

კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესს და მოიცავს ხარისხის მართვის სრულ ციკლს -დაგეგმვიდან განვითარებამდე. აღნიშნულ დოკუმენტში (მუხლები 4 და 5) დეტალურად არის გაწერილი კურიკულუმის შეფასებისა და ცვლილებების შეტანის პროცედურები. ამასთან, მითითებულია, რომ კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში, დადგენილი წესის შესაბამისად, იგეგმება მონიტორინგის ჯგუფის ფორმირება. მათ აქვს შემუშავებული საგანმანათლებლო პროცესის შეფასების სქემა (ჩეკლისტი) 2026 წლის 11 მარტის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანებით N2/11 დამტკიცებული, რომელიც გამოყენებული იქნება კურიკულუმის განხორციელების პროცესის შეფასებისა და შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მცხეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 1 იანვრის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“
2. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების 2025 წლის 7 აგვისტოს დირექტორის ბრძანება N2/326 „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების წესი“
3. 2026 წლის 11 მარტის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/11 „საგანმანათლებლო პროცესის შეფასების სქემა, (ჩეკლისტი)“
4. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის მეთოდოლოგია, დამტკიცებული ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბრძანებით N2/49 მეთოდოლოგიაში იკითხება, რომ დაწესებულება წინასწარ გეგმავს აქტივობებს და განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს; კერძოდ: მუხლი მე-5 საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვა და პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა. ა) საკომუნიკაციო აქტივობების დაგეგმვისთვის აღდგომიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღი იყენებს ამ წესის დანართით N1-ით განსაზღვრულ ცხრილს. ამავე ცხრილში განისაზღვრება კონკრეტულ აქტივობაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. არაგეგმიური აქტივობები ტარდება საჭიროებიდან გამომდინარე და მისი ასახვა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცხრილში არ ხორციელდება. მეთოდოლოგიაში დაწესებულებას განსაზღვრული აქვს სამიზნე აუდიტორია. კერძოდ: მუხლი მე-3. სამიზნე აუდიტორიის შერჩევა. დაწესებულების სამიზნე აუდიტორია იყოფა შიდა და გარე აუდიტორიად; შიდა აუდიტორიას განეკუთვნება: გაერთიანების ადმინისტრაცია, გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების ადმინისტრაცია, გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების საგანმანათლებლო პერსონალი და დამხმარე პერსონალი. გარე აუდიტორიას განეკუთვნება: მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი, ადგილობრივი თემის/საზოგადოების წარმომადგენელი, სფეროში მოღვაწე კოლეგები, მუნიციპალიტეტის მერია, დარგობრივი სამინისტროების წარმომადგენლები, ადგილობრივი და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციის წარმომადგენლები. დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა, სადაც დაგეგმილი აქტივობები მოიცავს თემთან და ოჯახთან/კანონიერ წარმომადგენელთან თანამშრომლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება წახალისებს მიზნით მშობლებთან/კანონიერი წარმომადგენლებთან ერთად დაგეგმვას სხვადასხვა აქტივობებს; აღმზრდელთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ აღმზრდელი წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში. საბავშვო ბაღს აქვს გამოყოფილი ღია კარის დღე, თემის წარმომადგენლების მიწვევა, პროფესიების წარდგენა, საგანმანათლებლო რესურსის მოძიებაში მათი ჩართულობა, მათთან ერთად აქტივობების დაგეგმვა და ა.შ. (აღნიშნული იკითხება საკომუნიკაციო გეგმაში). დაწესებულებას შედგენილი აქვს მშობლის კითხვარი, რითაც ხდება მიღებული უკუკავშირის ანალიზი. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააკეთებს ანალიზს, რა აქტივობებში გამოიკვეთა მშობელთა ჩართულობა უფრო აქტიურად და ამის მიხედვით მოიფიქრებს მათი ჩართულობისთვის სხვადასხვა გზებს. თემის ჩართულობისთვის აქტიურად გამოიყენებს თემში არსებულ ადამიანურ რესურსს, მოიწვევს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებს, ასევე განხორციელებს ვიზიტს ახლომდებარე დაწესებულებებში.

დაწესებულებამ წარმოადგინა 2026 წლის 20 აპრილის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/334. კურიკულუმის განხორციელების პროცესში მშობელთა ჩართულობის წახალისების წესი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საკომუნიკაციო გეგმის წესში დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს კომუნიკაციის მეთოდები და არხები. შერჩეული მეთოდები არის მრავალფეროვანი მაგალითად:

ა) დისტანციური შეხვედრები;

ბ) დისტანციური შეხვედრები ელექტრონული პლატფორმის/პლატფორმების გამოყენებით(Teams,Zoom,Google,Meet); გ)

საინფორმაციო დაფები;

დ) მოკლე ტექსტური შეტყობინებები; ე)

სატელეფონო ზარები;

ვ) ელექტრონული ფოსტა;

ზ) სოციალური მედიის პალტფორმები (გაერთიანების და მასში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების ფეისბუქ გვერდები/პროფილები) თ)

სოციალური მედიის (მესენჯერი) ჩატები.

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა,რომ ფლობენ ინფორმაციას საკომუნიკაციო არხების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბრძანებით N2/49 .საკომუნიკაციო გეგმის შესახებ.

2.2026 წლის 20 აპრილის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/334. კურიკულუმის განხორციელების პროცესში მშობელთა ჩართულობის წახალისების წესი.

3. ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
---	---	---	---

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/ კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების განვითარების სპეციფიკისა და ასაკობრივი თავისებურებების შესახებ. აღნიშნულის მიზნით, სხვადასხვა საინფორმაციო-საგანმანათლებლო აქტივობის ფარგლებში, მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს ელექტრონულად მიეწოდებათ ბუკლეტები, ვიდეორგოლები და სხვა შესაბამისი მასალები. ასევე, ინფორმაცია ხელმისაწვდომია დაწესებულებაში განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები სისტემურად და დეტალურად არის ასახული დაწესებულების საკომუნიკაციო გეგმაში. დაწესებულებამ წარმოადგინა ურთიერთობის თანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრს“ და ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას შორის თარიღი: 8 აპრილი 2021 წ. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზანია: შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვა, ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

2026 წლის 26 იანვრის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/33 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“-თ დასტურდება ბავშვის შეფასების პროცესში ოჯახის ჩართულობა. კერძოდ, მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, ხოლო მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაწესებულებაში ბავშვის შეფასებას ანხორციელებს აღზრდელი და მასში ჩართულია ბავშვთან მომუშავე სხვა საგანმანათლებლო პერსონალი ოჯახთან ერთად. ამასთან, მე-9 მუხლის შესაბამისად საგანმანათლებლო პერსონალის მიერ ბავშვების შეფასებისთვის გამოყენებული მეთოდი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას, კერძოდ დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად. ასევე, 2026 წლის 13 თებერვლის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/65 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმაში გათვალისწინებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ ბავშვის საინფორმაციო ბარათების შევსება, მათთან ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შედეგების მშობლისთვის /კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვას ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ინდივიდუალურად. ასევე, 2026 წლის 13 თებერვლის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/65 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმაში გათვალისწინებულია მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ ბავშვის საინფორმაციო ბარათების შევსება, მათთან ინდივიდუალური შეხვედრების ჩატარება და ბავშვის შეფასების შედეგების განხილვა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს, კერძოდ, აღნიშნული ვლინდება საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობით კომუნიკაციის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისთვის. სამიზნე აუდიტორიასთან კომუნიკაციის ეფექტიანობის შესაფასებლად გაერთიანება და მასში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღები იყენებენ უკუკავშირის შემდეგ მექანიზმებს:

ა) კითხვარები;

ბ) წინადადებების ყუთი;

გ) ღია შეხვედრები.

საგანმანათლებლო პერსონალმა ინტერვიუზე აღნიშნა, რომ ოჯახთან და თემთან დაგეგმილი აქტივობების შეფასება მეთოდოლოგიის შესაბამისად განხორციელდება და შეფასების შემდეგ საჭიროებიდან გამომდინარე განახორციელებს ცვლილებების შეტანას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2026 წლის 26 იანვრის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის N2/33

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი

2. 2026 წლის 13 თებერვლის ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ბრძანება N2/49.

საკომუნიკაციო გეგმის შესახებ.

წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს სამუშაო აღწერილობა დანართის სახით. აღნიშნული აღწერილობა შეიცავს დაწესებულებაში არსებულ ყველა საშტატო პოზიციას. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N25 2023 წლის 15 ივნისი ქ. მცხეთა, მცხეთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. დაწესებულების მიერ შემუშავებული ორგანოგრამა თანხვედრაშია აღნიშნულ მარეგულირებელ დოკუმენტებთან: შესახებ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ორგანოგრამა მოიცავს შემდეგ საშტატო პოზიციებს საბავშვო ბაღის დირექტორი; მნე; მედდა; მზარეული; მზარეულის დამხმარე; მრეცხავი; მეეზოვე; დარაჯი; ცეცხლფარეში (დამხმარე მუშა); დამლაგებელი; აღმზრდელი; აღმზრდელის დამხმარე; აღმზრდელის თანაშემწე; მუსიკის პედაგოგი; ასევე თანხვედრაშია დაწესებულების მიერ შემუშავებულ ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესთან და დაწესებულების მიერ აღნიშნულ ფილიალში მოთხოვნილ ბავშვთა ზღვრულ რაოდენობასთან. დაწესებულებაში დაცულია საგანმანათლებლო პერსონალის თანაფარდობა ჯგუფში მოთხოვნილ ბავშვთა რაოდენობასთან. რაც ასევე დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/32 თარიღი 26.01.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ და ასევე ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (N2/32 თარიღი 26.01.2026 წელი) ბრძანებაში ცვლილებების შეტანის დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი საშტატო ნუსხა: საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორი-1; მნე-1; მედდა-1; მზარეული-1; მზარეულის დამხმარე-1; მრეცხავი-1; მეეზოვე-1; დარაჯი-2; ცეცხლფარეში-1; დამლაგებელი-1; აღმზრდელი-4; აღმზრდელის დამხმარე-2; აღმზრდელის თანაშემწე-1; პერსონალური ასისტენტი-1; მუსიკის პედაგოგი-1; დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/90 თარიღი 17.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა და მასში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების ერთიანი სახელმძღვანელო შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ წესში გაწერილია მუხლი 26. სამსახურში არმყოფი დასაქმებულის მოვალეობათა შესრულება. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/33 თარიღი 26.01.2026წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული წესის შედგენისას გათვალისწინებულია ადრეული და სკოლამდელი დაწესებულებაში ინკლუზიური მიდგომები. მუხლი 4. განსაზღვრავს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილების მექანიზმს, წესს ახლავს დანართის სახით ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმის შაბლონი, აღნიშნული გეგმაც ემსახურება ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების დაკმაყოფილებას. ასევე დაწესებულებამ წარმოადგინა ურთიერთობის თანამშრომლობის მემორანდუმი ა(ა)იპ „განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრსა“ და „ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას“ შორის თარიღი: 8 აპრილი 2021 წ. მემორანდუმის ფარგლებში თანამშრომლობის მიზანია: შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა უფლებების დაცვა, ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობების და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაცია და მათი თანაბარი შესაძლებლობებით უზრუნველყოფა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.



არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება საქართველოს „მეწარმეთა კანონის“ შესაბამისად დაფუძნებულია ა(ა)იპ - ის ფორმით. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებამ წარმოადგინა ორგანოგრამა, როგორც ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ორგანოგრამა: ასევე ამ გაერთიანებაში შემავალი ფილიალის აღდგომლიანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა. აღნიშნულ ორგანოგრამაში მკაფიოდაა გაწერილი სტრუქტურული ერთეულები/პირები და ზედმიწევნით ასახავს დაწესებულების პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში მუხლი 6.- ში განსაზღვრულ დაწესებულების სტრუქტურას: ა) იერარქიას, ბ) სტრუქტურულ ერთეულებს, გ) დაქვემდებარებას და ანგარიშვალდებულებას; დ) კავშირებს; ასევე სტრუქტურული ერთეულის/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული დაწესებულების მიერ ამავე წესის დანართის სახით წარმოდგენილ სამუშაო ფორმის აღწერაში. აღნიშნული ინფორმაცია ასევე გაწერილია სამუშაო ხელშეკრულებებში. თანამშრომლის სამუშაო აღწერილობა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: სტრუქტურული ერთეულის დასახელება; თანამდებობის/პოზიციის დასახელება; შესასრულებელი დავალებების(ფუნქციების) ჩამონათვალი; საკვალიფიკაციო მოთხოვნები; დაწესებულება უზრუნველყოფს აღნიშნული ინფორმაციის პერსონალისთვის გაზიარება გაცნობას, რაც დასტურდება პერსონალის ხელმოწერებით შრომით ხელშეკრულებებზე და შინაგანაწესის გაცნობის ფურცელზე. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/326 თარიღი 17.04.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა-ბაღებში მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ.(დანართი N1 შესაბამისად) აღნიშნული წესი ითვალისწინებს კანონმდებლობის მოთხოვნებს და არეგულირებს საბავშვო ბაგა-ბაღებში მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს (შემდგომში-საბჭო) შექმნის, ფორმირების, უფლებამოსილებების, საქმანობისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/97 თარიღი 18.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტის მიხედვით დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული, მასში მიმდინარე თითოეულ პროცესს ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რაც იკითხება პერსონალის ფუნქციებიდან და სამუშაო აღწერილობიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ (ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს სამუშაო აღწერილობა დანართის სახით. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები ინტეგრირებულია სამუშაო აღწერილობაში. აღნიშნულ სამუშაო აღწერილობაში განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები თანხვედრაშია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შემდეგ დოკუმენტთან: მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N25 2023 წლის 15 ივნისი ქ. მცხეთა, მცხეთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. ასევე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები გაწერილია პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესშიც მუხლი 11. და თანხვედრაშია ზემო აღნიშნულ დოკუმენტებთან. მუხლი 16. თანამშრომელთა პირადი საქმეები, განსაზღვრავს თანამშრომელთა პირადი საქმეების წარმოების წესს, რომელიც მოიცავს სავალდებულოდ წარსადგენ დოკუმენტთა ჩამონათალს. დაწესებულების პერსონალს სრულად აქვს წარმოდგენილი აღნიშნულ წესში განსაზღვრული დოკუმენტაცია, რომელიც პერსონალის პირად საქმეში ინახება. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ნორმებსა და კონკრეტული პოზიციის დასაკავებლად მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებით: „N25 2023 წლის 15 ივნისი ქ. მცხეთა, მცხეთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ დამატებით გაწერილ პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება თანამშრომლის პირად საქმეში. ადგილზე ვიზიტისას პერსონალის პირადი საქმის გაცნობით დადასტურდა, რომ დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....



4. ბავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია შემდეგი იდენტიფიცირებული შეუსაბამობა: “იდენტიფიცირებული შეუსაბამობის აღწერა (საკითხი): ყველა საგანმანათლებლო პერსონალი არ არის გადამზადებული პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებით. აქტივობის დაწყების სავარაუდო თარიღი: 2/20/2026; აქტივობის დასრულების სავარაუდო თარიღი: 8/20/26; დრო შეფასების განხორციელების მომენტიდან დასრულებამდე (თვეებში): 6 თვე ; შესაბამისობის ტიპი (მეტწილი / ნაწილობრივი): მეტწილი; (კონკრეტული ქმედება, რომელიც მიემართება საკითხის გამოსწორებას): 1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგების დაგეგმვა; 2. ყველა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება; პასუხისმგებელი პირი / სტრუქტურული ერთეული: მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება გაერთიანების დირექტორი; საჭირო რესურსი (მატერიალური/ადამიანური/ფინანსური): 1. გაერთიანების ბიუჯეტი; აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ უზრუნველყოს მის მიერ შესაბამისობის გეგმაში გაწერილი იდენტიფიცირებული შეუსაბამობის: „ ყველა საგანმანათლებლო პერსონალი არ არის გადამზადებული პირველადი სამედიცინო დახმარების მიმართულებით.“ გამოსწორების აქტივობის: „1. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ტრენინგების დაგეგმვა და 2. ყველა საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება.“ შესრულება, ამავე გეგმაში გაწერილ ვადებში.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს სამუშაო აღწერილობა დანართის სახით. აღნიშნული წესი ითვალისწინებს შემდეგი კანონმდებლობის მოთხოვნებს: საქართველოს ორგანული კანონი “საქართველოს შრომის კოდექსი”; საქართველოს კანონი „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის N 478 დადგენილება „აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტების დამტკიცების შესახებ“; მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N25 2023 წლის 15 ივნისი ქ. ცხეთა მცხეთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ. დოკუმენტი მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: თავი I. ზოგადი დებულებები: მუხლი 1. რეგულირების სფერო; მუხლი 2. წესის მიზანი და გამოყენების სფერო; მუხლი 3. წესის ამოცანები; მუხლი 4. ადამიანური რესურსების მართვის ციკლი; მუხლი 5. დაწესებულების ადამიანური რესურსი; თავი II. ორგანიზება/დაგეგმვის პროცესი: მუხლი 6. დაწესებულების სტრუქტურა; მუხლი 7. სამუშაო აღწერილობა; მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა; თავი III. ორგანიზაციაში შემოსვლის პროცესი: მუხლი 9. დაწესებულების პერსონალის შერჩევა; მუხლი 10. პირდაპირი გზით დანიშვნა; მუხლი 11. პერსონალის კვალიფიკაცია; მუხლი 12. ახალი თანამშრომლის ინტეგრაცია; თავი IV. შესრულებული სამუშაოს მართვა: მუხლი 13. შესრულებული სამუშაოს შეფასება; მუხლი 14. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება; მუხლი 15. შრომითი ურთიერთობის მომწესრიგებელი დოკუმენტი; მუხლი 16. თანამშრომელთა პირადი საქმეები; მუხლი 17. შრომითი ურთიერთობების შეწყვეტა. დაწესებულება პერსონალის მართვის პროცესებს ხელმძღვანელობს შინაგანაწესითაც. მტკიცებულებად წარმოდგენილია ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/90 თარიღი 17.02 2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების და მასში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების ერთიანი სახელმძღვანელო შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა და მასში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების ერთიანი სახელმძღვანელო შინაგანაწესი წარმოადგენს სამუშაო ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და სავალდებულოა შესასრულებლად. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალისთვის შინაგანაწესისა და მასში შეტანილი ნებისმიერი ცვლილების გაცნობას და ადასტურებს გაცნობის ფაქტს, გაცნობის ფურცელზე პერსონალის ხელისმოწერით, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტისას პერსონალის პირადი საქმეების შემოწმებისა და ინტერვიუს შედეგებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება როგორც მოქმედი კანონმდებლობით, ისე დაწესებულების მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვის წესითა და შინაგანაწესით. ასევე დასტურდება, რომ თანამშრომლები გაცნობილნი არიან შინაგანაწესსა და მასში შეტანილ ცვლილებებს, რაც უზრუნველყოფს და ადასტურებს, წესების პრაქტიკაში განხორციელებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელსაც თან ახლავს სამუშაო აღწერილობა დანართის სახით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელ ინფორმაციას. დაწესებულების თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობა ასევე რეგულირდება შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე. ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსი“. შრომითი ხელშეკრულება მოიცავს აღნიშნული კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ არსებით პირობებს. ესენია: ა) ინფორმაცია შრომითი ხელშეკრულების მხარეთა შესახებ; ბ) მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა; გ) სამუშაო დრო და დასვენების დრო; დ) სამუშაო ადგილი; ე) თანამდებობა და შესასრულებელი სამუშაოს სახე ან აღწერილობა; ვ) შრომის ანაზღაურება და მისი გადახდის წესი; ზ) ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი; თ) ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა; ი) დამსაქმებლისა და დასაქმებულის მიერ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის წესი; აღმზრდელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება ასევე მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს. აღნიშნულ ინფორმაციას შეიცავს როგორც შრომითი ხელშეკრულება, ასევე სამუშაო ფორმის აღმწერი დოკუმენტიც. ასევე დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სივრცე თანამშრომლობითი საქმიანობისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის შემდეგი მუხლები განსაზღვრავს კადრების მოზიდვის, შერჩევისა და დანიშვნის პროცედურებს. ესენია: მუხლი 8. კადრების მოზიდვა და შერჩევა; მუხლი 9. დაწესებულების პერსონალის შერჩევა; მუხლი 10. პირდაპირი გზით დანიშვნა; დაწესებულებაში ხდება კადრების შერჩევა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემდეგი პრინციპების დაცვით: პუნქტი 1. 1.1. ობიექტურობა-შერჩევის პროცედურები არის არადისკრიმინაციული და მაქსიმალურად გამორიცხავს სუბიექტური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას; 1.2. გამჭვირვალობა-გამოყენებული პროცედურები, მეთოდები და შეფასების კრიტერიუმები არის ნათლად ფორმულირებული, გასაგები და აღქმადი ყველა დაინტერესებული პირისათვის. პირი, დაწესებულების პერსონალის ვაკანტურ პოზიციაზე გაერთიანების დირექტორის გადაწყვეტილებით ამ წესით განსაზღვრული ღია /დახურული კონკურსის ნაცვლად შეიძლება დაინიშნოს ვაკანტურ პოზიციაზე პირდაპირი დანიშვნის გზით. ამ გზით დანიშვნისას დაწესებულებაში დაცულია ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პარამეტრები. შერჩევის ეტაპზე დაწესებულება ეყრდნობა ამ

კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას. ვაკანტური პოზიციის დაკავებამდე კანდიდატთან ტარდება გასაუბრება; აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის მუხლი 12. განსაზღვრავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას. პუნქტი 2. ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმებია: ა) ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა; ბ) ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ხელმძღვანელებთან და სხვა კოლეგებთან; გ) მიზნების, მოლოდინების და შეფასების კრიტერიუმების გაცნობა; დ) საჭირო რესურსებზე, აღჭურვილობაზე, პროგრამულ უზრუნველყოფაზე ახალი თანამშრომლის წვდომის უზრუნველყოფა; ე) ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება. პუნქტი 3. დაწესებულება აწარმოებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციასა და მტკიცებულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი მუშაობის პრინციპს რასაც პერსონალის მართვის მარეგულირებელ დოკუმენტთან (ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ) ერთად, ადასტურებს დაწესებულების ღირებულებები :

- უსაფრთხოება: ბავშვისა და პერსონალის ფიზიკური და ემოციური კეთილდღეობის უზრუნველყოფა.
- თანამშრომლობა: გუნდური მუშაობა პერსონალს, ბავშვებსა და ოჯახებს შორის.
- პროფესიონალიზმი: მუდმივი სწრაფვა განვითარებისა და მაღალი სტანდარტებისკენ.
- პატივისცემა: თითოეული ბავშვისა და ზრდასრულის ინდივიდუალობის დაფასება.

დაწესებულებაში ჩატარებულმა ორდღიანმა ვიზიტმა და ინტერვიუს შედეგებმა ნათლად გვაჩვენა თანამშრომლობაზე დაფუძნებული კულტურა. ურთიერთობები აგებულია პატივისცემასა და გუნდურობაზე, რაც ზრდის ჩართულობას, მოტივაციას და სამუშაოს ეფექტიანობას. დირექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამშრომლობითი კულტურის გაძლიერებაში. ამასვე ადასტურებს დაწესებულების მიერ პროცესების მარეგულირებელ დოკუმენტებზე სამუშაოდ შექნილ ჯგუფებში წევრთა სიმრავლე და ჩართულობის მაღალი ხარისხი. ყოველივე ზემოთ აღნიშნული თავსებადია დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებასთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 14. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება - შედგება 5 პუნქტისგან. პუნქტი 1. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების, დაგეგმვისა და განხორციელებისას დაწესებულება თანამშრომლებს სთავაზობს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან მეთოდებს, როგორც დაწესებულების ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისებით. პუნქტი 2. დაწესებულებაში პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას შემდეგი მეთოდები: ა) ტრენინგი; ბ) ქოუჩინგი; გ) მენტორინგი; დ) თვითგანვითარება; ე) კონსტრუქციული უკუკავშირი; პუნქტი 3. დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმაში / პროფესიული განვითარების გეგმაში აისახება შესაბამისი აქტივობები და საჭირო ბიუჯეტი. პუნქტი 4. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. პუნქტი 5. დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება: ა) თანამშრომლების პროფესიული განვითარების, ინტერსებისა და საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და შესაბამისი საინიციატივო წინადადებების მიღება; ბ) თანამშრომელთა ჩართულობის წახალისებით სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა. დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა 2025-2026 წლის, სადაც გაწერილია დაწესებულების პერსონალის სხვადასხვა მიმართულებით გადამზადებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის ტრენინგებისა და ქოუჩინგის აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად შექმნილი შესაბამისობის გეგმა და ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. აღნიშნული ბრძანებით დამტკიცებულია სამოქმედო გეგმა 2025-2026 წლის, სადაც გაწერილია დაწესებულების პერსონალის სხვადასხვა მიმართულებით გადამზადებისა და ცნობიერების ამაღლებისთვის ტრენინგებისა და ქოუჩინგის აქტივობები, რომელიც მხარდაჭერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტით. აღნიშნული სამოქმედო გეგმა შექმნილია SWOT ანალიზით იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ. ასევე წარმოდგენილია აღნიშნული ბრძანების შესაბამისად დამტკიცებული პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 14. თანამშრომელთა პროფესიული და კარიერული განვითარება: პუნქტი 4. განსაზღვრავს შემდეგს: პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან; პუნქტი 5. განაზღვრავს შემდეგს: დაწესებულებას აქვს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების დაფიქსირებისა და მათი წახალისების მექანიზმი, რაც გამოიხატება: ა) თანამშრომლების პროფესიული განვითარების, ინტერსებისა და საჭიროებების რეგულარული იდენტიფიცირება და შესაბამისი საინიციატივო წინადადებების მიღება; ბ) თანამშრომელთა ჩართულობის წახალისებით სხვადასხვა პროფესიულ ღონისძიებებსა და ტრენინგებში მონაწილეობის ხელშეწყობა. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/521 თარიღი 30.10.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთათვის სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში სწავლება ტრენინგი/ინსტრუქტაჟის ჩატარების გრაფიკის დამტკიცების შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯსა და ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თარიღი 01.03.2021წელი. მემორანდუმის მიზანი და საგანია : მხარეთა თანამშრომლობა , საგანმანათლებლო დაწესებულების ხელშეწყობა პროფესიული განათლების განვითარების მხრივ. ამ სისტემის მოქნილობის უზრუნველყოფა ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე. მხარეები ითანამშრომლებენ „აღზრდელის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების და პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევის ხელშეწყობის მიზნით. რაც დადსტურდა პერსონალის პირადი საქმეების გადახედვის პროცესში. ასევე დაწესებულებას სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვს პერსონალის სხვადასხვა მიმართულებით გადამზადების აქტივობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/314 თარიღი: 30.07.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
2. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების სამოქმედო გეგმა 2025-2026 წ.
3. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/150 თარიღი 05.03.2026 წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის 2026 წლის 16 თებერვლის N2/72 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების და ახალი პერსონალის მართვის მარეგულირებელი წესის (სამუშაო აღწერილობები გაერთიანებაში არსებული პოზიციების შესაბამისად) დამტკიცების შესახებ.
4. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ორგანოგრამა: ასევე ამ გაერთიანებაში შემავალი ფილიალის აღდგომლიაანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღის სტრუქტურა/ორგანოგრამა.
5. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/90 თარიღი 17.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებისა და მასში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების ერთიანი სახელმძღვანელო შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.
6. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/33 თარიღი 26.01.2026წ ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
7. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/76 თარიღი 17.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის (N2/32 თარიღი 26.01.2026 წელი) ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი საშტატო ნუსხა.
8. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/32 თარიღი 26.01.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ.
9. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაღების ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი.
10. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი აღდგომლიაანთკარის საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამისობის გეგმა

11. ინტერვიუს შედეგები.
12. დაწესებულების პერსონალის პირადი საქმეები.
13. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/521 თარიღი 30.10.2025 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღების თანამშრომელთათვის სახანძრო უსაფრთხოების საკითხებში სწავლება ტრენინგი/ინსტრუქტაჟის ჩატარების გრაფიკის დამტკიცების შესახებ.
14. სსიპ-ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯსა და ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი თარიღი 01.03.2021წელი
15. მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება N25 2023 წლის 15 ივნისი ქ. ცხეთა მცხეთის მუნიციპალიტეტში ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმწოდებელი ან/და სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტის დამტკიცების შესახებ;
16. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/97 თარიღი 18.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ.
17. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/326 თარიღი 17.04.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანებაში შემავალ საბავშვო ბაგა-ბაღებში მშობელთა საკონსულტაციო საბჭოს შექმნისა და ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ.(დანართი N1 შესაბამისად);
18. ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N2/66 თარიღი 18.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების საბავშვო ბაგა-ბაღებში რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. ამის დასტურად დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების დირექტორის ბრძანება N 2/97 თარიღი: 18.02.2026 წელი ა(ა)იპ მცხეთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების პროცესების აღმწერების და ხარისხის უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ. აღნიშნულ წესში დაწესებულებას იდენტიფიცირებული აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. მმართველობითი პროცესები: სტრატეგიული დაგეგმვა; ხარისხის უზრუნველყოფა; ძირითადი პროცესები: საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა და განხორციელება; სსმ ბავშვების მომსახურება; ბავშვების რაოდენობის მართვა (რეგისტრაცია, ჩარიცხვა, ამორიცხვა); ოჯახთან და თემთან ურთიერთობა; დამხმარე პროცესები: ადამიანური რესურსების მართვა; მატერიალური რესურსის მართვა; საქმისწარმოება; პერსონალის და ბავშვების ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვა; სანიტარულ-ჰიგიენური პროცესების მართვა; ბავშვთა კვების უზრუნველყოფის პროცესის მართვა; ფინანსური რესურსის მართვა; აღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

